



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ): 15.06.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20.07.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში (0201)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა ჩავლეიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

■ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ მოქმედი აკრედიტებული პროგრამაა. დღეის მდგომარეობით ამ პროგრამაზე 45 აქტიური სტატუსის მქონე (5 კი შეჩერებული სტატუსის) სტუდენტი სწავლობს. 2017-2018 სასწავლო წელს 20 ვაკანტური ადგილის ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხა 16 სტუდენტი.
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს, თუმცა მიუხედავად ამისა, პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან მოხდა განმარტება, რომ პროგრამა თავდაპირველად საბუღალტრო აღრიცხვაზე იყო ორიენტირებული, შემდეგ მოხდა აუდიტის დამატება, პროგრამაში შემოტანილი იქნა საბაკალავრო ნაშრომის არჩევითი კომპონენტი, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული თანამედროვე სასწავლო კურსების დამატება და ა.შ., შესაბამისად ბოლო წლებში გამოიკვეთა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია.
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო სავალდებულო საგნებზე მოდის – 75 ECTS კრედიტი, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სავალდებულო საგნებზე – 42 ECTS კრედიტი, არჩევით საგნებზე – 23, დამატებით სპეციალობასა და თავისუფალ კრედიტებზე – ECTS 65 კრედიტი, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც არჩევით კომპონენტად არის წარმოდგენილი ეტაპობა 10 – 10 ECTS, აკადემიური წერას - 5, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს - 5, ხოლო უცხო ენას - 15 ECTS კრედიტი. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს.

■ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 15 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა. მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს (ფინანსების პროგრამის) და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, შემთხვევითი შერჩევის გზით გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის და კვლევითი აქტივობების ამსახველი მასალები.

ინფორმაციის დაზუსტების მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მიერ გამოთხოვილი იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მოგვამოდა შეფერხების გარეშე.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და პროგრამის ხელმძღვანელებს გააცნეს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ძირითადი მიგნებები.

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, ნაწილობრივ შესაბამისობაშია I სტანდარტთან, შესაბამისობაშია III და V სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია II და IV სტანდარტებთან.
 - პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მეტწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. უნივერსიტეტი ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირების დაკონკრეტება საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე.
 - პროგრამის განვითარებაში ჩართულ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტს წინა წლებში არ ჰყავდათ სტუდენტები, ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად გააქტიურდა საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის განვითარების საკითხი. დაწყებულია თანამშრომლობა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან, განსაკუთრებული ჩართულობა იგრძნობოდა დამსაქმებლებისა და მოწვეული დარგობრივი პერსონალის მხრიდან. რის შედეგადაც მოხდა პროგრამის გაუმჯობესება (თანამედროვე დარგობრივი საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების (კერძოდ, ისწავლება პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა სერტიფიცირების (ACCA) სხვადასხვა დონის წიგნები) დამატება პროგრამაში და სხვა).
 - საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენაში და მათემატიკაში/ისტორიაში/გეოგრაფიაში/სამოქალაქო განათლებაში. 2018 წელს უნივერსიტეტი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტის პროგრამაზე ვაკანტური ადგილების ნახევარი კონტინგენტის მიღებას აპირებს გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების და ისტორიის არჩევითი საგნებით, ხოლო, მათემატიკისთვის კი მხოლოდ 10 ადგილია გათვალისწინებული. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია უფრო მეტი რაოდენობის გამოცხადება მოხდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩევით საგანზე - მათემატიკა, რაც ექსპერტების აზრით ამ პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იქნება.
 - პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი სავალდებულო კომპონენტების სტატუსით უნდა სარგებლობდეს. საჭიროა გაიმიჯნოს სწავლების ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში თემატიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსების „მათემატიკა 1“ და „მათემატიკა 2“ სილაბუსებში სწავლის შედეგები, რომლებიც ერთნაირად არის ფორმულირებული.
 - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს საბუღალტრო აღრიცხვაში ბუღალტრული და ფინანსური სისტემების ცოდნის გარდა ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების ფართო ცოდნა უნდა გააჩნდეს, რომლის კომპეტენციის განვითარება უნდა განხორციელდეს სავალდებულო საბაზო სასწავლო კურსებზე დაყრდნობით და აგრეთვე, აცნობიერებდეს მათ ურთიერთშემოქმედებას, ამიტომ პროგრამის სავალდებულო კურსებში წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ლოჯისტიკა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გამლიერებული Excel-ით და მონაცემთა ბაზების მართვის

სისტემით (Access)) და "საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი" (რაც სტუდენტს მისცემს ფართო ცოდნას ERP სისტემების (APEX, 1C და ა.შ.) თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ);

- უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ათეულობით კომპანიასთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რაც გულისხმობს უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განვითარების, სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულების მომავალი დასაქმების კუთხით. ვინაიდან ამ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რთულია შეფასდეს ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობა, თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს შედეგებზე გასვლას. ინტერვიუებისას პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად პრაქტიკას გადიან ამ პროგრამის სტუდენტები, ჰყავთ დასაქმებული სხვა პროგრამის კურსდამთავრებულები, თუმცა ასევე ისურვებდნენ ზოგიერთი კურსის დამატებას;
- საბაკალავრო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის ისეთი მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დაძლევის შედეგად უზრუნველყოფს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში“ აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას. ამასთან, სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ 27 საათი აქვს დათმობილი ლექციას, ხოლო 16 საათი პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობას, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა ლექციების შემცირების ხარჯზე.
- პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ მთელ რიგ სასწავლო კურსებს არ აქვთ წინაპირობები განსაზღვრული (რაც გაუადვილებს სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დაგეგმვას). ესენია: „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „მაკროეკონომიკა“, "ფინანსების საფუძვლები", "მენეჯერული აღრიცხვა 1", "საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები"; პრაქტიკის წინაპირობად (განსაზღვრულია მხოლოდ შესაბამისი კონცენტრაციის სავალდებულო 42 კრედიტიდან სულ მცირე 32 კრედიტი) რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის; რეკომენდებულია სასწავლო კურსს „ბიზნეს ინგლისური 1“ წინაპირობაში მიეთითოს ინგლისური ენა B1/B2.
- უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით 2017-2018 წელს გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 31-მა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტმა. სტუდენტებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ისინი საუნივერსიტეტო მეილის მეშვეობით აქტიურად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ. პროგრამის ერთ-ერთ სავალდებულო სასწავლო კურსს წარმოადგენს ბიზნეს ინგლისური 1 და 2 (10 კრედიტის მოცულობა), რაც ხელს უწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევებისა და ინოვაციების ჰაბი, რომელიც სთავაზობს სტუდენტებს ინოვაციური და პროფესიული უნარების განვითარებას.
- ექსპერტებმა დაათვალიერეს სტუდენტთა სწავლების პროცესის ფუნქციონირებისთვის საჭირო ორი ელექტრონული სისტემა: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.). სასურველია დაიგეგმოს ამ ორი ელექტრონული სისტემის გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს, რისი სურვილიც ინტერვიუს დროს სტუდენტებმაც გამოხატეს, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ დაწყებულია ამ კუთხით მუშაობა.

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 12 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, პროფესორი - 3, ასოცირებული პროფესორი - 8, ასისტენ-პროფესორი - 1), აფილირებული აკადემიური პერსონალი - 11. აკადემიური პერსონალიდან დოქტორის აკადემიური ხარისხი ბიზნესის მიმართულებით აქვს 3 პერსონალს. პროგრამაზე მოწვეულია 19 პერსონალი, მათგან დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს 7-ს (მ.შ. დოქტორის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებით - 6). პროგრამაზე მოწვეულ პერსონალს გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განხრით მუშაობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ საჭიროა პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით პროგრამა გაძლიერდეს პროფილის მქონე აკადემიური პერსონალით, რაზეც ექსპერტებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობაც დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო მსჯელობა, მაგრამ არის კვალიფიციური ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვის პრობლემები. ამიტომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში კიდევ გეგმავს აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებას; უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს 3000 ლარი (ინდივიდუალურად) აფილირებული აკადემიური პერსონალის სხვადასხვა აქტივობებში (როგორიცაა საერთაშორისო კონფერენციები, კვლევით პროექტები და სხვ.) მონაწილეობისათვის.
- დაწესებულება ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვიშეგარდის და ერაზმუს+-ის საერთაშორისო პროექტები, სადაც ჩართულია აკადემიური პერსონალი. ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 8 უცხოელი ლექტორი, მათ შორის 6 საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამაში.
- სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რიგ შემთხვევებში შესაძლებელია გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგალითად, სასწავლო კურსებში: "ფინანსების თეორია" - 2010, "საბანკო საქმის საფუძვლები" - 2010, "საბანკო საქმე" - 2010, "აუდიტი" - 2002), ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში („აკადემიური წერა“, „სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებაში“ და ა.შ.) რეკომენდებულია მიეწეროს წლები ნაწილ ძირითად და დამატებით ლიტერატურას. სასწავლო კურსში „გადასახადების ადმინისტრირება“ პრაქტიკულ ნაწილში რეკომენდებულია მოხდეს ელექტრონული ვებ-პორტალის www.rs.ge ელექტრონული გადასახადების სატესტო გვერდის შესწავლა.
- სასურველია დაწესებულების ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყოს ლექტორებს იმ სასწავლო კურსების სალექციო კურსის/რიდერის გამოშვებაში, სადაც ძირითად ლიტერატურაში მითითებულია: „ლექტორის კონსპექტი“, „ლექტორის მიერ მომზადებული მასალები“.
- უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილმა პროგრამამ განიცადა მოდერნიზაცია და მასში, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირების დაკონკრეტება საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე.
- პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებს შეეცვალოს არჩევითი სტატუსი და გახდეს სავალდებულო კომპონენტები;
- გაიმიჯნოს სასწავლო კურსების „მათემატიკა 1“ და „მათემატიკა 2“ სწავლის შედეგები სწავლების თემატიკიდან გამომდინარე, ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში;
- რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო კურსებში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ლოჯისტიკა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გამლიერებული Excel-ით და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემით (Access)) და „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“, ხოლო სასწავლო კურსი „ტურიზმის საფუძვლები“ ამოღებული იქნეს საბაზო კურსებიდან.
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3-ე ბრძანების შესაბამისად ანუ შეფასებისათვის გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ვაკანტური ადგილების უფრო მეტი რაოდენობის გამოცხადება მოხდეს არჩევით საგანზე - მათემატიკა.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებს „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ შეეცვალოს სახელწოდება, ვინაიდან კურსის შინაარსიდან გამომდინარე რეალურად წარმოადგენს "მიკროეკონომიკის პრინციპებს" და "მაკროეკონომიკის პრინციპებს"; ასევე სასურველია, კურსის შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსს „აუდიტი“ შეეცვალოს სახელწოდება „აუდიტის საფუძვლები“.
- რეკომენდებულია წინაპირობები განისაზღვროს შემდეგ სასწავლო კურსებში: „მაკროეკონომიკა“, „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, "ფინანსების საფუძვლები", "მენეჯერული აღრიცხვა 1", "საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები";
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა.
- რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „ბიზნეს ინგლისური 1“ წინაპირობაში მიეთითოს ინგლისური ენა B1/B2.
- რეკომენდებულია პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით, პროგრამა გაძლიერდეს პროფილის მქონე აკადემიური პერსონალით.
- რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში: "ფინანსების თეორია" – 2010, "საბანკო საქმის საფუძვლები" - 2010, "საბანკო საქმე" - 2010, "აუდიტი" - 2002), ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში („აკადემიური წერა“, „სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებაში“ და ა.შ.) რეკომენდებულია მიეწეროს წლები ძირითად და დამატებით ლიტერატურას.

- სასწავლო კურსში „გადასახადების ადმინისტრირება“ პრაქტიკულ ნაწილში რეკომენდებულია მოხდეს ელექტრონული ვებ-პორტალის www.rs.ge ელექტრონული გადასახადების სატესტო გვერდის შესწავლა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საბაკალავრო პროგრამას წინაპირობების ჩამონათვალს დამატოს შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა;
- სასურველია, უფრო აღქმადი იყოს (მკაფიოდ იყოს შეზღუდვაზე მინიშნება) IBSU-ს ვებ-გვერდის "სტიპენდიები და შეღავათები" განყოფილებაში მრავალფეროვანი სასწავლო საშუალებათა პირობების გვერდის ბოლოს მითითებული შეღავათების შეზღუდვები.
- სასურველია, დაიგეგმოს ორი ელექტრონული სისტემის: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.) გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს.
- სასურველია, პროგრამის გარე შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და შეძლებისდაგვარად უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების ჩართვა, რათა პროგრამა გახდეს მეტად კონკურენტუნარიანი ბაზარზე.
- მიზანშეწონილია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ლექტორებს სასწავლო კურსების „სალექციო კურსის“/რიდერის სახით გამოშვებაში, რომლებიც ძირითად ლიტერატურაში მოცემულია „ლექტორის კონსპექტი“, "ლექტორის მიერ მომზადებული მასალები".
- გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განიცადა მნიშვნელოვანი მოდიფიცირება და განახლება. სასურველია ეს პროცესი იყოს მუდმივი.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს. პროგრამის აკრედიტაციისას გაცემული რეკომენდაციები დღევანდელი მდგომარეობით სრულად არის გათვალისწინებული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მეტწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განმარტებით უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. შხსუ ისწრავვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში, ხოლო საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიზნესის სხვადასხვა სექტორის საქმიანობის განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორებში; პროგრამის მიზანია აგრეთვე სტუდენტებისათვის ბიზნესის და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ზოგადი კომპეტენციების უზრუნველყოფა.

რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ფორმულირების დაკონკრეტება საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე.

დღეის მდგომარეობით ამ პროგრამაზე 45 აქტიური სტატუსის მქონე (5 კი შეჩერებული სტატუსის) სტუდენტი სწავლობს. 2017-2018 სასწავლო წელს 20 ვაკანტური ადგილის ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხა 16 სტუდენტი. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წელს, თუმცა მიუხედავად ამისა, პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან მოხდა განმარტება, რომ პროგრამა თავდაპირველად საბუღალტრო აღრიცხვაზე იყო ორიენტირებული, შემდეგ მოხდა აუდიტის დამატება, პროგრამაში შემოტანილი იქნა საბაკალავრო ნაშრომის არჩევითი კომპონენტი, მოხდა სასწავლო კურსების შინაარსის მოდერნიზაცია, სწავლის მეთოდების განახლება, გარკვეული თანამედროვე სასწავლო კურსების დამატება და ა.შ., შესაბამისად ბოლო წლებში გამოიკვეთა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია.

ამასთან ჩატარდა დასაქმების ბაზრის კვლევა, პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა, გათვალისწინებული იქნა პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც, გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით, შემუშავდა შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა. აღსანიშნავია, რომ პოტენციური დამსაქმებლები დაეთანხმნენ აკრედიტაციის ექსპერტთა თვალსაზრისის ზოგიერთი ძირითადი სასწავლო კურსის პროგრამაში ჩართვის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

◦ შრომის ბაზრის კვლევა.
რეკომენდაციები: ◦ რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ფორმულირების დაკონკრეტება საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ მოქმედი აკრედიტებული პროგრამაა. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ერთი ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს. პროგრამის შედეგების ნაწილში მოცემულია, რომ სტუდენტს შეუძლია „საბაზრო ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში, შესაბამისი სტაჟირების გავლის შემდეგ...“, „დამამთავრებელ სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკის გავლა....“. თუმცა საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი პროგრამაში არჩევითია და პროგრამის ზოგად შედეგებს სრულად ვერ უზრუნველყოფს. პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი სავალდებულო კომპონენტების სტატუსით უნდა სარგებლობდეს. საჭიროა გაიმიჯნოს სწავლების ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში თემატიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსების „მათემატიკა 1“ და „მათემატიკა 2“ სილაბუსებში სწავლის შედეგები, რომლებიც ერთნაირად არის ფორმულირებული. სასწავლო კურსებს „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ რეკომენდებულია შეეცვალოს სახელწოდება, რადგან სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკის და სავალდებულო ლიტერატურის მიხედვით ისინი რეალურად წარმოადგენენ „მიკროეკონომიკის პრინციპებსა“ და „მაკროეკონომიკის

პრინციპებს“, ასევე რეკომენდირებულია კურსის შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსს „აუდიტი“ შეეცვალოს სახელწოდება „აუდიტის საფუძვლები“; ხოლო სასწავლო კურსში „გადასახადების ადმინისტრირება“ პრაქტიკულ ნაწილში რეკომენდებულია მოხდეს ელექტრონული ვებ-პორტალის www.rs.ge ელექტრონული გადასახადების სატესტო გვერდის შესწავლა, რაზეც სასწავლო კურსის ლექტორმა ინტერვიუებისას განმარტა, რომ რეალურად პირველივე მეცადინეობიდან ხდება აღნიშნული მასალის გაცნობა, მაგრამ სილაბუსში არ არის ასახული. სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ 27 საათი აქვს დათმობილი ლექციას, ხოლო 16 საათი პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობას, შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა ლექციების შემცირების ხარჯზე, რასაც ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაეთანხმა სასწავლო კურსის ლექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ გასაუბრება დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ○ პროგრამის ზოგადი კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებს შეეცვალოს არჩევითი სტატუსი და გახდეს სავალდებულო კომპონენტები. ○ გაიმიჯნოს სასწავლო კურსების „მათემატიკა 1“ და „მათემატიკა 2“ სწავლის შედეგები სწავლების თემატიკიდან გამომდინარე, ცოდნა-გაცნობიერების და პრაქტიკული უნარების ნაწილში. ○ რეკომენდებულია სასწავლო კურსში „გადასახადების ადმინისტრირება“ პრაქტიკულ ნაწილში მოხდეს ელექტრონული ვებ-პორტალის www.rs.ge ელექტრონული გადასახადების სატესტო გვერდის შესწავლა. ○ რეკომენდებულია სასწავლო კურსებს „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ შეეცვალოს სახელწოდება, ვინაიდან კურსის შინაარსიდან გამომდინარე რეალურად წარმოადგენს "მიკროეკონომიკის პრინციპებს" და "მაკროეკონომიკის პრინციპებს". ○ მიზანშეწონილია სასწავლო კურსში „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა 240 ECTS კრედიტს მოიცავს, საიდანაც ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო სავალდებულო საგნებზე მოდის – 75 ECTS კრედიტი, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სავალდებულო საგნებზე – 42 ECTS კრედიტი, არჩევითი საგნებზე – 23, დამატებით სპეციალობასა და თავისუფალ კრედიტებზე – ECTS 65 კრედიტი, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც არჩევით კომპონენტად არის წარმოდგენილი ეთმობა 10 – 10 ECTS, აკადემიური წერას - 5, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს - 5, ხოლო უცხო ენას - 15 ECTS კრედიტი. შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაცია არის მიმართულების და სპეციალობის მიხედვით ფორმირებული კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში (0201). ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრს საბუღალტრო აღრიცხვაში ბუღალტრული და ფინანსური სისტემების ცოდნის გარდა ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების ფართო ცოდნა უნდა გააჩნდეს, რომლის კომპეტენციის განვითარება უნდა განხორციელდეს სავალდებულო საბაზო სასწავლო კურსებზე დაყრდნობით და აგრეთვე, აცნობიერებდეს მათ ურთიერთზემოქმედებას, ამიტომ პროგრამის სავალდებულო კურსებში წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ლოჯისტიკა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გამლიერებული Excel-ით და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემით (Access)) და „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“ (რაც სტუდენტს მისცემს ფართო ცოდნას ERP სისტემების (APEX, 1C და ა.შ.) თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ). ზემოთ წარმოდგენილ მიზანს არ ემსახურება სასწავლო კურსი „ტურიზმის საფუძვლები“, რომელიც მიზანშეწონილია ამოღებული იქნეს საბაზო კურსებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ გასაუბრება დამსაქმებლებთან; ○ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პროგრამის სავალდებულო კურსებში წარმოდგენილი იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა: „ოპერაციული მენეჯმენტი“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ლოჯისტიკა“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ (გამლიერებული Excel-ით და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემით (Access)) და „საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი“, ხოლო სასწავლო კურსი „ტურიზმის საფუძვლები“ ამოღებული იქნეს საბაზო კურსებიდან

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა დასაქმების ბაზრის კვლევა, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა (ფინანსების პროგრამის) და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა. კვლევის მიზანი იყო დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დადგენა.

ვინაიდან ამ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რთულია შეფასდეს ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობა, თუმცა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს შედეგებზე გასვლას და შესაბამისად პროგრამა მეტწილად ქმნის წინაპირობებს განათლების მეორე საფეხურზე პროფილურ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და ასევე, დასაქმების ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ათეულობით კომპანიასთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რაც გულისხმობს უნივერსიტეტსა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განვითარების, სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისა და კურსდამთავრებულების მომავალი დასაქმების კუთხით. ინტერვიუებისას პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად პრაქტიკას გადიან ამ პროგრამის სტუდენტები, ჰყავთ დასაქმებული სხვა პროგრამის კურსდამთავრებულები, თუმცა ასევე ისურვებდნენ ზოგიერთი კურსის: "ადამიანური რესურსების მართვა", "ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში" (გამლიერებული Excel-ით და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემით

(Access)) და "საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი" (რაც სტუდენტს მისცემს ფართო ცოდნას ERP სისტემების (APEX, 1C და ა.შ.) თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესახებ) დამატებას.

რეკომენდებულია პროგრამის შედეგების ფორმულირების დაკონკრეტება საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და ფინანსების მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრება;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება;
- ფინანსების მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის შედეგების ფორმულირების დაკონკრეტება საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობის ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (ფინანსების პროგრამის) და პოტენციური დამსაქმებლები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ,

მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამა) და პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებისას. პროგრამის განვითარებაში ჩართულ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ვინაიდან უნივერსიტეტს წინა წლებში არ ჰყავდათ სტუდენტები, ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის განვითარების საკითხი. დაწყებულია თანამშრომლობა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან, განსაკუთრებული ჩართულობა იგრძნობოდა დამსაქმებლებისა და მოწვეული დარგობრივი პერსონალის მხრიდან. რამაც შედეგადაც გამოიწვია პროგრამის გაუმჯობესება და თანამედროვე დარგობრივი საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების (ისწავლება პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა სერტიფიცირების (ACCA) სხვადასხვა დონის წიგნები) დამატება პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა; ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; ○ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება; ○ პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება; ○ ფინანსების მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და შრომის ბაზრის ანალიზი; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენაში და მათემატიკაში/ისტორიაში/გეოგრაფიაში/სამოქალაქო განათლებაში.

2018 წელს უნივერსიტეტი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტის პროგრამაზე ვაკანტური ადგილების ნახევარი კონტინგენტის მიღებას აპირებს გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების და ისტორიის არჩევითი საგნებით, ხოლო, მათემატიკისთვის კი მხოლოდ 10 ადგილია გათვალისწინებული. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ერთიანი ეროვნული გამოცდების ვაკანტური ადგილების უფრო მეტი რაოდენობის გამოცხადება მოხდეს არჩევით საგანზე - მათემატიკა.

პროგრამის წინაპირობების კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალობისა და საჯაროობისათვის:

1. სასურველია, საბაკალავრო პროგრამას წინაპირობების ჩამონათვალში დამატოს შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს;
2. უნივერსიტეტის აბიტურიენტის ვებ-გვერდზე (<https://abiturienti.ibsu.edu.ge/conditions/>) "სტიპენდიები და შეღავათები" განყოფილებაში განთავებულია სწავლის გადასახადთან დაკავშირებული მრავალფეროვანი (20-მდე) სტუდენტის სწავლის გადასახადი თანხის შეღავათის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ სასურველი იქნებოდა უფრო აღქმადი იყოს (მკაფიოდ იყოს შეზღუდვაზე მინიშნება) აბიტურიენტის ვებ-გვერდის "სტიპენდიები და შეღავათები" განყოფილების ბოლო სტრიქონში შეღავათების შეზღუდვის განმარტება: "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოპოვებული გრანტით ან დაფინანსებით 4 აკადემიური წლის განმავლობაში

ისარგებლებ იმ შემთხვევაში, თუ შენი საშუალო აკადემიური მაჩვენებელი ყოველი წლის ბოლოს არ იქნება 80 (GPA) ქულაზე ნაკლები, ხოლო თუ შენ ხარ ერთიანი ეროვნული გამოცდების რეიტინგით პირველ 100-ეულში და 200-ეულში მოხვედრილ სტუდენტებს შორის და იღებ IBSU-ს ყოველთვიურ სტიპენდიას, მის შესანარჩუნებლად შენი საშუალო აკადემიური მაჩვენებელი (GPA) ყოველი წლის ბოლოს არ უნდა იყოს 91 ქულაზე ნაკლები", თუმცა, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აბიტურიენტებთან საკონსულტაციო შეხვედრების დროს ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მხრიდან ხდებოდა აბიტურიენტების გაფრთხილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა; ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამის), პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები: პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ერთიანი ეროვნული გამოცდების ვაკანტური ადგილების უფრო მეტი რაოდენობის გამოცხადება მოხდეს არჩევით საგანზე - მათემატიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, საბაკალავრო პროგრამას წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესაძლებლობა; ○ სასურველია, უფრო აქტიური იყოს (მკაფიოდ იყოს შეზღუდვაზე მინიშნება) IBSU-ს ვებ-გვერდის "სტიპენდიები და შეღავათები" განყოფილებაში მრავალფეროვანი სასწავლო საშუალებათა პირობების გვერდის ბოლოს მითითებული შეღავათების შეზღუდვები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სწავლება ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა

კომპონენტში გამოყენებული ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც პროგრამის დამლევის შედეგად უზრუნველყოფს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში“ აკადემიური ხარისხის სათანადო ცოდნისა და შესაბამისი კომპეტენციების მიღწევას, სწავლების პროცესში გამოიყენება ინტერაქტიული, სტუდენტზე, ქმედებასა და შედეგზე ორიენტირებული მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული, სემინარი, დამოუკიდებელი. აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით: პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brain storming), დისკუსია/დებატები, სიმულაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, პროექტი, პრეზენტაცია (სტუდენტის/სტუდენტების მიერ), ელექტრონული საშუალებებით სწავლება, ამოცანების ამოხსნა, პრობლემების გადაჭრა, ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, წიგნზე მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პრეზენტაციის მომზადება, პროექტის მომზადება, საშინაო დავალების შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა; ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამის); ○ ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები მეტწილად ლოგიკური და თანმიმდევრულია. პროგრამის კომპონენტების გავლის თანამიმდევრობა აღწერილია სასწავლო გეგმაში. იგი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მეტწილად მიღწევას.

ამასთან, პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია, კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ,

- პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ ზოგიერთ კურსებს არ აქვთ წინაპირობები განსაზღვრული (რაც გაუადვილებს სტუდენტებს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის დაგეგმვას). ესენია: „მაკროეკონომიკა“, „ფინანსების საფუძვლები“, „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „მენეჯერული აღრიცხვა 1“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“;
- პრაქტიკის წინაპირობად (განსაზღვრულია მხოლოდ შესაბამისი კონცენტრაციის სავალდებულო 42 კრედიტიდან სულ მცირე 32 კრედიტი) რეკომენდებულია განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის;
- სასწავლო კურსს „ბიზნეს ინგლისური 1“ წინაპირობაში მიეთითოს ინგლისური ენა B1/B2.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამის);
- ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია წინაპირობები განისაზღვროს შემდეგ სასწავლო კურსებში: „მაკროეკონომიკა“, „სტატისტიკის და ალბათობის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „მენეჯერული აღრიცხვა 1“, „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“;
- განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსს „ბიზნეს ინგლისური 1“ წინაპირობაში მიეთითოს ინგლისური ენა B1/B2.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასება მეტწილად ხდება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერიითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებით და პრეზენტაციით და ა.შ. თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი.

მიზანშეწონილია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3-ე ბრძანების შესაბამისად ანუ შეფასებისათვის გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამის);
- ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3-ე ბრძანების შესაბამისად ანუ შეფასებისათვის გამოყენებული იქნეს შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და წესები მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევაზე, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორები სტუდენტებთან ერთად განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, ეხმარებიან მათ შედეგების გაუმჯობესებაში და უტარებენ კონსულტაციებს, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კონსულტაციების ცხრილშია გათვალისწინებული. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კომპონენტების პროგრამებში (სილაბუსებში), რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა; ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

○ ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამის); ○ ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები იღებენ თავიანთი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ადმინისტრატორი, რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასწავლო კურსების ინტერესის სფეროს მიხედვით არჩევაში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისაგან იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას. ისინი ინფორმირებული არიან უნივერსიტეტში მიმდინარე აქტივობებისა და მოქმედი ფინანსური წახალისების მექანიზმების შესახებ. სტუდენტები ადასტურებენ, რომ ინფორმაციას სტაჟირებების, გაცვლითი პროგრამების შესახებ აქტიურად იღებენ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ○ სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები კვირაში ორი საათი, ამასთან, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ დამატებით საკონსულტაციო საათებზე შეუთანხმდნენ ლექტორებს. საკონსულტაციო საათებს ლექტორი სტუდენტებს სწავლის დაწყებიდან პირველივე კვირაში აცნობს, განრიგი გამოკრულია აუდიტორიებთან და ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ○ სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა; ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალოვრო პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. მართალია აღნიშნული კომპონენტი არის არჩევითი, მაგრამ უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სტაჟირებისა და ვაკანსიების შესახებ. უნივერსიტეტში სისტემატურად ეწყობა კონფერენციები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს მუდმივი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების შესახებ უკუკავშირის მისაღებად. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევებისა და ინოვაციების ჰაბი, რომელიც სთავაზობს სტუდენტებს ინოვაციური და პროფესიული უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალოვრო პროგრამა; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან;

○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით 2017-2018 წელს გაცვლითი პროგრამით ისარგებლა 31 -მა ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტმა. სტუდენტებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ისინი საუნივერსიტეტო მეილის მეშვეობით აქტიურად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების შესახებ. პროგრამის ერთ-ერთ სავალდებულო სასწავლო კურსს წარმოადგენს ბიზნეს ინგლისური 1 და 2 (10 კრედიტის მოცულობა), რაც ხელს უწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება კონფერენციები, მათ შორის საერთაშორისო. აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს 3000 ლარი (ინდივიდუალურად).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალოვრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანალიზი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შხსუ-ის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა ადეკვატურია პროგრამის განხორციელების, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისა და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. იგი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტებმა შეძლონ სწავლა და თავისუფალი დრო ოპტიმალურად დაგეგმონ, განახორციელონ სხვადასხვა აქტივობები. უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, კაბინეტები, სტუდენტებისთვის გამოყოფილი თავისუფალი სივრცეები, სპორტული დარბაზი, საკონფერენციო დარბაზი, სასადილო, კაფეტერია. უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისა და კვლევისათვის შესაფერისი და უსაფრთხო გარემო.

შხსუ-ს აქვს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. სილაბუსებში მითითებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი არსებული მოთხოვნის შესაბამისად, პერიოდულად ახორციელებს ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენას და წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ბიბლიოთეკას (შხსუ არის შემდეგი ელექტრონული ბიბლიოთეკების

დარეგისტრებული წევრი: <https://www.jstor.org/>, <http://polpred.com/>, <https://clarivate.com/>, www.opendoar.org, www.roar.eprints.org, www.doaj.org, www.beallslst.weebly.com, www.gutenberg.org, www.memory.loc.gov, www.wdl.org, www.obiblio.sourceforge.net) აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ რესურს-ცენტრებს, ლაბორატორიებს, ინტერნეტის წვდომის საშუალებებს და სხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, რომლებიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტებმა დაათვალიერეს სტუდენტთა სწავლების პროცესის ფუნქციონირებისთვის საჭირო ორი ელექტრონული სისტემა: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.). სასურველია დაიგეგმოს ამ ორი ელექტრონული სისტემის გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს, რისი სურვილიც ინტერვიუს დროს სტუდენტებმაც გამოხატეს, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ დაწყებულია ამ კუთხით მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე;
- ინტერვიუება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- “საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის” საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაიგეგმოს ორი ელექტრონული სისტემის: SIS (სტუდენტის პირადი ანგარიში, სტუდენტების შეფასება და სხვ.) და Smart (რომელ სასწავლო კურსზე არის დარეგისტრირებული სტუდენტი ან ლექტორი და სხვ.) გაერთიანება, რაც შექმნის სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულ გარემოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება:

აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 12 აკადემიური პერსონალი (მათ შორის, პროფესორი - 3, ასოცირებული პროფესორი - 8, ასისტენ-პროფესორი - 1), აფილირებული აკადემიური პერსონალი - 11. აკადემიური პერსონალიდან დოქტორის აკადემიური ხარისხი ბიზნესის მიმართულებით აქვს 3 პერსონალს. პროგრამაზე მოწვეულია 19 პერსონალი, მათგან დოქტორის აკადემიური ხარისხი აქვს 7-ს (მ.შ. დოქტორის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებით - 6). მიმდინარე ეტაპზე, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ემსახურება 45 აქტიურ სტუდენტს (სტატუსი შეჩერებული აქვს 5 სტუდენტს). პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას და პროფესიულ უნარებს. განსაკუთრებით კი მოწვეულ პერსონალს გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განხრით მუშაობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ინტერვიუებისას აღინიშნა რომ საჭიროა პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით პროგრამა გაძლიერდეს პროფილის მქონე აკადემიური პერსონალით, რაზეც ექსპერტებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობაც დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო მსჯელობა, მაგრამ არის კვალიფიციური ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვის პრობლემები. ამიტომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში კიდევ გეგმავს აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებას. დაწესებულება ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვიშეგარდის და ერაზმუს+-ის საერთაშორისო პროექტები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს აკადემიური პერსონალი. ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 8 უცხოელი ლექტორი, მათ შორის 6 საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით, პროგრამა გაძლიერდეს პროფილის მქონე აკადემიური პერსონალით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული (დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი) და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული სერვისი და სხვ.) უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას საბაკალავრო პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეხმარებიან მათ სწავლის პროცესში შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუება საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან; ○ “საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში: "ფინანსების თეორია" – 2010, "საბანკო საქმის საფუძვლები" - 2010, "საბანკო საქმე" - 2010, "აუდიტი" - 2002), ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში („აკადემიური წერა“, „სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებაში“ და სხვ.). საჭიროა ზოგიერთ სასწავლო კურსში მიეწეროს წლები ნაწილ ძირითად და დამატებით ლიტერატურას. სასურველია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ლექტორებს იმ სასწავლო კურსების „სალექციო კურსის“ გამოშვებაში, რომელთა ძირითად ლიტერატურაში მოცემულია „ლექტორის კონსპექტი“, „ლექტორის მიერ მომზადებული მასალები“, რომლებიც შერჩევითი გადამოწმებისას ინახებოდა ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ “საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- www.ibsu.edu.ge
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში: "ფინანსების თეორია" – 2010, "საბანკო საქმის საფუძვლები" - 2010, "საბანკო საქმე" - 2010, "აუდიტი" - 2002), ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსში („აკადემიური წერა“, „სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებაში“ და სხვ.) საჭიროა მიეწეროს წლები ნაწილ ძირითად და დამატებით ლიტერატურას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ლექტორებს სასწავლო კურსების „სალექციო კურსის“ /რიდერის სახით გამოშვებაში, რომლებიც ძირითად ლიტერატურაში მოცემულია „ლექტორის კონსპექტი“, „ლექტორის მიერ მომზადებული მასალები“ .
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით. უნივერსიტეტს გააჩნია როგორც ცენტრალიზებული ბიუჯეტი, ასევე, ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამას საკუთარი ფინანსური გეგმა. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგოდა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიაა ფინანსურად ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას, კერძოდ, ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევითი დანახარჯები, საგანმანათლებლო მხარდაჭერის დანახარჯები, დანახარჯები სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებზე, დანახარჯები კონგრესსა და კონფერენციებზე, სახელმძღვანელოს დაბეჭდვაზე და სხვა. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე.

პროგრამის უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რაც ასახულია უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის 2018 წლის სავარაუდო ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტი ორიენტირებულია პროგრამის განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის 2018 წლის სავარაუდო ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლს. უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიულების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამა ითვალისწინებს რეკომენდაციებს და შესაბამისად გეგმავს კურიკულუმში განსახორციელებელ ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილმა პროგრამამ განიცადა მოდერნიზაცია და მასში, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა, ○ საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის სამსახურის დებულება; ○ ინტერვიუება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმხორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ფინანსების პროგრამის).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა შეფასების მექანიზმებად გამოყენებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ცხრილი, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა (ფინანსების პროგრამის), პოტენციური დამსაქმებელთა გამოკითხვები. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, იყენებს ისეთი შეფასების მექანიზმებს როგორიცაა, ლექციაზე დაკვირვება, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური შეფასება.

საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამა 2011 წლიდან ფუნქციონირებს და დღემდე არ ჰყოლია კურსდამთავრებულები, ხარისხის სამსახურის მენეჯერმა აღნიშნა, რომ პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და განსაკუთრებით კი უშუალოდ დამსაქმებელთა რეკომენდაციებით, რამაც დღეისთვის მიმზიდველი გახადა პროგრამა, ეს ასევე დასტურდება პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდით.

გარე შეფასება ხდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამა,
- საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამისთვის შეფასების ანგარიში;
- ხარისხის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუება ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან;
- ინტერვიუება პროგრამის სტუდენტებთან და ფინანსების პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის გარე შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება და შეძლებისდაგვარად უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების ჩართვა, რათა პროგრამა გახდეს მეტად კონკურენტუნარიანი ბაზარზე.
- გამოიკვეთა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განიცადა მნიშვნელოვანი მოდიფიცირება და განახლება. სასურველია ეს პროცესი იყოს მუდმივი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რუსუდან სეთურიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მარინა ჩავლეიშვილი

ანა გვრიტიშვილი

